მოდულის აღწერა

კარიერის მართვა

მოდული შემუშავებულია ევროკომისიის tempus IV (TEMPUS-ის გრანტის (სტუდენტთა კარიერული განვითარება საქართველოში - 530566-TEMPUS -1-2012-1-LT-TEMPUS-SMGR (2012-3045/001-0010 პროგრამის „სტუდენტთა კარიერული მომსახურეობის განვითარება საქართველოში“ და ევროპული უნივერსიტეტებისა და საქართველოში მათი პარტნიორი უნივერსიტეტების თანამშრომლობის შედეგად შემუშავებული თეორიული მასალი საფუძველზე. პროექტის ფარგლებში შექმნილია სამი სახელმძღვანელო „მართე შენი კარიერა:სტუდენთა სახელმძღვანელო“, „სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის კარიერული განათლების მომსახურეობისათვის“ და „კარიერის მართვის სწავლება:სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის“.

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსადმთავრებულებისთვის კარიერული განვითარებისთვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავების ხელშეწყობას. კარიერული განვითარების სწორი დაგეგმის სწავლებას.

მოდული ეყრდნობა:

1.სტუდენტების კარიერის მართვის კომპეტენციების ქართულ ჩარჩოს.

2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების საჭიროებების ანალიზს

3. შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების ანალიზს

მოდულის მახასიათებლები	**აღწერა**
მოდულის დასახელება	კარიერის მართვა
მოდულის ხანგრძლივობა და დროში განაწილება	8 კვირა
მოდულის გავლის წინაპირობა	მოდულს წინაპირობა არ აქვს
მონაწილეთა მინიმალური დამაქსიმალური რაოდენობა:	30-40
მიზნობრივი ჯგუფი	სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს თსუ-ის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის პროფესიული განათლების საფეხურის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს.
საკითხის აქტუალობა და საჭიროება	✓ სწავლის პროცესის პარალელურად სტუდენტები მუდმივად თვითგამორკვევისა და მიზნების დასახვის პროცესში არიან, არსებული გამოცდილება გვიჩვენებს რომ კარიერის დაგეგმვის პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბაკალავრიატის პერიოდში სწორად შერჩეული მოქმედებები, რომელიც საბოლოოდ კარიერულ წინსვლას უწყობს ხელს. ✓ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები შრომის ბაზარზე საკმაოდ კონკურენტუნარიანი კადრები არიან. კარიერული წინსვლის სწორი მენეჯმენტი და სამოქმედო გეგმის სწორად განსაზღვრა კი მათ უფრო კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოაყალიბებს. ✓ კარიერის დაგეგმის დროს სტუდენტები ბევრ პრობლემას აწყდებიან მაგალითად ისეთებს როგორიცაა: საკუთარი ინტერესებისა და მიზნების გაურკვევლობა, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების არ ცოდნა, სამუშაოს ძებნის არაეფექტური მეთოდების გამოყენება, საკუთარი კარიერის მართვის არ ცოდნა, მოძიებული სამსახურისა და ცხოვრების ბალანსი ან სწავლასთან შეთავსება და ა. შ. არსებული კურსი მათ სწორედ ამ

	პრობლემების გადაჭრაში დაეხმარება.
ტრენინგის მიზანი	კურსის მიზნები დაკავშირებული სწავლებისა და შესწავლის პროცესში კარიერის მართვის კონპეტენციების განვითარებასთან. კურსის მიზანია: ✓ სტუდენტებმა გაიცნონ და გაიგონ კარიერის კონცეფცია; ✓ გაეცნონ კარიერის განსაზღვრის ელემენტებს; ✓ შეძლონ კარიერის განმსაზღვრელი ელემენტების გამოყენება პირადი კარიერის განვითარებაში
სწავლების შედეგები	კურსის შემდეგ სტუდენტებს უნდა შეეძლოთ: ✓ კარიერის კონცეფციის გააზრება და სწორი გამოყენება ✓ კარიერისთვის მნიშვნელოვანი პერსონალური თვისებები იდენტიფიცირება ✓ დაასახელოს პიროვნული განვითარებისთვის საჭირო ცვლილებეი და გარდამავალი პერიოდები, რომელიც მნიშვნელოვანია კარიერისათვის. ✓ განსაზღვროს საკუთარი კარიერული ხედვა ✓ განავითაროს სამუშაო ძიების სტრატეგია საკუთარი კარიერული მიზნებიდან გამომდინარე ✓ შეაფასოს კარიერული ინფორმაციის საჭიროება პირადი კარიერის მართვაში ✓ შეაფასონ კომპეტენციები, როგორც მათი კარიერული ხედვის ნაწილი ✓ აღმოაჩინონ განსხვავება საჭირო და საკუთარ კომპეტენციებს შორის პირად კარიერულ ხედვასთან დაკავშირებით ✓ დაიწყონ ქმედება იმ კომპეტენციების ასათვისებლად, რაც აკლიატ იმისათვის რომ შეესაბამებოდნენ კარიერული ხედვის მოთხოვნებს
სწავლების ფორმატი და მეთოდები	სწავლების პროცესი ინტერაქტიულია და მოითხოვს მონაწილეების მაქსიმალურ ჩართულობას. პროგრამა გაჯერებულია სწავლების თანამედროვე სწავლების მეთოდებით, ასევე სიმულაციებით. ➢ დისტანციური სწავლება, ონლაინ პლატფორმების გამოყენებით

მოდულის სტრუქტურა	1. ონლაინ პლატფორმის გამოყენებით ჯგუფის ჩამოყალიბება, გაცნობა და მათთვის საჭირო თეორიული მასალის მიწოდება 2. დავალებების მიცემა კონკრეტული თემის ირგვლივ 3. შესრულებული დავალებების შესახებ და ზოგადი თეორიული მასალის შესახებ განხილვის ჩატარება (ფორუმი, საჭიროების შემთხვევაში) 4. დავალებებზე უკუკავშირის მიღება
მოდულის ძირითადი თემები	1. კარიერის მართვის შესავალი 2. რა არის კარიერა? 3. თვითშემეცნება და მისი გავლენა კარიერაზე. 4. შრომის ბაზრის შესწავლა 5. თქვენი კარიერის დაგეგმვა 6. სამსახურის ძიების ეფექტური გზები 7. თქვენი კარიერის განვითარების მართვა 8. სამსახური-ცხოვრების ბალანსი
ტრენინგის შედეგების შეფასების მეთოდები	სტუდენტის შეფასება ✓ მოცემული დავალების შესრულება-40 ქულა (8 დავალება, მაქსიმალური ქულა თითოეულ დავალებაზე 5) ✓ საბოლოო პროექტის წინასწარი წარდგენა, იდეის განხილვა და არსებული სამუშაოების გაცნობა-10 ქულა ✓ საბოლოო პროექტის წარდგენა-30 ✓ კურსის ფარგლებში სტუდენტის აქტივობა-10 (ფორუმებში და სადისკუსიო თემების განხილვაში მონაწილეობა)
სერტიფიკატის გაცემის პირობები	✓ მოცემულ აქტივობებში მონაწილეობა ✓ არსებული დავალებების შესრულება ✓ პროექტის წარმოდგენა კურსის დასრულების წინაპირობაა კურსის შეფასების 70 % მოპოვება.
მოდულში შემავალი დოკუმენტაცია	• მოდულის აღწერა • ტრენერის სახელმძღვანელო (აქტივობების აღწერა) • მონაწილეთა სახელმძღვანელო/სასწავლო მასალა • პრეზენტაცია • შეფასების ინსტრუმენტები/პრე და პოსტ ტესტები

მოდულის განხორციელებისთვის არსებული მატერიალური და ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი	✓ ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი ✓ ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმა (moodle – elearning.tsu.ge ან/და Microsoft 365)